განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ენერგო ეტიკეტირების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმება (შემდგომში - *ასოცირების შეთანხმება*) ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის აპროქსიმაციას ევროკაშირის მოთხოვნებთან, რომელთა მიზანია ენერგეტიკის სფეროში კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბება. ასოცირების შეთანხმების XXV დანართში მოცემულია ენერგეტიკის სფეროში მოქმედი ევროკავშირის იმ დირექტივების და რეგულაციების ჩამონათვალი, რომელთა აპროქსიმაციის ვალდებულება ეკისრება საქართველოს. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველო 2017 წლიდან შეუერთდა ენერგეტიკულ გაერთიანებას (შეერთების ოქმით განისაზღვრა ევროკავშირის შესაბამისი დირექტივებისა და რეგულაციების იმპლემენტაციის ვადები). შესაბამისად, ენერგეტიკის სფეროს კანონმდებლობის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, მასზე გავრცელდა ასოცირების შეთანხმების 218-ე მუხლის დებულებები (32-ე სქოლიოს გათვალისწინებით), რომელთა მიხედვით, საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შემთხვევაში, ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების დებულებებს ან, ამ ხელშეკრულების ძალით ევროკავშირის კანონმდებლობაში შესულ დებულებებს, ენიჭებათ უპირატესობა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ენერგეტიკის სფეროში ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების თავთან მიმართებით. ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-3 და მე-5 მუხლების მიხედვით, ენერგეტიკული გაერთიანების კომპეტენციაა ენერგეტიკის სფეროს მარეგულირებელი ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაცია გაერთიანების სივრცეში ადაპტირებული სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ასოცირების შეთანხმებაში მოცემული 2010 წლის 19 მაისის „ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის მითითების თაობაზე“ N2010/30/EU დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციას.

საქართველოს ბაზარზე განთავსებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის მითითების აუცილებლობა არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით. შესაბამისად, კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს ენერგომომხმარებელი პროდუქტის აუცილებელი ენერგო ეტიკეტირების პრობლემის გადაწყვეტა, საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი

პროდუქტის შესაბამისობა ამ კანონპროექტითა და ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და აღნიშნულის თაობაზე საბოლოო მომხმარებლების ინფორმირება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმის თანახმად, საქართველოსთვის, როგორც აღნიშნული გაერთიანების წევრი სახელმწიფოსთვის, სავალდებულო გახდა „ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის მითითების თაობაზე“ N2010/30/EU დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია. ამასთანავე, მოცემულ ეტაპზე საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის ამ კანონპროექტით და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა არ რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით ამ ეტაპზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მომხმარებელს საყოფაცხოვრებო მოწყობილობის შეძენისას არჩევანი გააკეთოს პროდუქტზე, მისი ენერგოეფექტურობის კლასიდან გამომდინარე.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ აუცილებელი გახდება საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარების და ასეთი პროდუქტის ენერგო მოხმარების მაჩვენებლების შესახებ პროდუქტზე სტანდარტული ინფორმაციის მითითება, რაც საშუალებას მისცემს საბოლოო მომხმარებელს, მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გააკეთოს სასურველი არჩევანი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

პირველი და მეორე მუხლები განსაზღვრავენ კანონპროექტის მიზანს, კერძოდ, ამ კანონპროექტის მიზანია საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარების და ასევე, ასეთი პროდუქტის ენერგომოხმარების მაჩვენებლების შესახებ პროდუქტზე სტანდარტული ინფორმაციის მითითების უზრუნველყოფა; აგრეთვე, საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის ამ კანონპროექტის და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კანონპროექტის მეორე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტის მოქმედება ვრცელდება კანონპროექტის მე-10 მუხლში მოცემული ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ ენერგომომხმარებელ პროდუქტებზე, რომლებიც მოხმარებისას პირდაპირ ან არაპირდაპირ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ენერგიის ან კანონპროექტით განსაზღვრულ სხვა არსებითი რესურსების მოხმარებაზე. კანონპროექტის მოქმედება არ ვრცელდება გამონაკლის შემთხვევებზე, კერძოდ მეორად პროდუქტზე; სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება გადაყვანა/გადაზიდვისთვის და პროდუქტის საპასპორტო მონაცემებზე ან სხვა ეკვივალენტურ ინფორმაციაზე, რომლებიც პროდუქტის უსაფრთხოების მიზნით დაიტანება მასზე.

კანონპროექტის მე-3 მუხლი მოიცავს ტერმინთა განმარტებას.

მე-4 მუხლში განსაზღვრულია საბოლოო მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების საკითხი. კერძოდ, საბოლოო მომხმარებლისათვის პროდუქტის ნებისმიერი ფორმით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდებისას (მათ შორის დისტანციურად გაყიდვისას) ან გასაყიდად განთავსებისას, პროდუქტის მიერ ელექტროენერგიის, ენერგიის სხვა წყაროებისა და სხვა არსებითი რესურსების მოხმარების შესახებ ფიშესა და ეტიკეტის მეშვეობით ინფორმაციისა და დამატებითი ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა.

კანონპროექტის მე-5 მუხლი ეხება მიმწოდებლის ვალდებულებებს, რომლის მიხედვითაც ის უზრუნველყოფს პროდუქტთან ერთად ეტიკეტისა და ფიშეს მიწოდებას, რომელთა ფორმა და შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით; ასევე ვალდებულია აწარმოოს ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც საკმარისია ფიშესა და ეტიკეტზე ასახული ინფორმაციის სიზუსტის შესაფასებლად. შემოწმების მიზნებისათვის ტექნიკური დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბოლო პროდუქტის წარმოების დღიდან ხუთი წლის განმავლობაში და ამავე დროს მიმწოდებლები პასუხისმგებლები იქნებიან მათ მიერ მიწოდებული ფიშესა და ეტიკეტზე დატანილი ინფორმაციის სიზუსტეზე. ასევე, ბაზარზე ზედამხედველობის მიზნით, ისინი ვალდებულნი იქნებიან ითანამშრომლონ ენერგოეფექტურობის სააგენტოსთან.

კანონპროექტის მე-6 მუხლი განსაზღვრავს დილერის ვალდებულებებს, რომლის მიხედვითაც ის პასუხისმგებელი იქნება საბოლოო მომხმარებლისთვის პროდუქტის მიწოდებისას უზრუნველყოს ეტიკეტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.

კანონპროექტის მე-7 მუხლი ეხება პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოქცევის წესებს, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტის ბაზარზე განთავსებისა და ექსპლუატაციაში გაშვების აკრძალვა, შეზღუდვა ან რაიმე სახით ხელშეშლა, თუ პროდუქტი არ არის საფრთხის შემცველი სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, საკუთრებისთვის, გარემოსთვის ან/და თუ პროდუქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

მე-8 მუხლში მოცემულია ბაზარზე ზედამხედველობის წესები, მასთან დაკავშირებული მიმწოდებლისა და დილერის ვალდებულებები. კანონპროექტის თანახმად, დოკუმენტურ შემოწმებას ახორციელებს სსიპ შემოსავლების სამსახური, ხოლო სსიპ ენერგოეფექტურობის სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს როგორც დოკუმენტური, ასევე ტექნიკური შემოწმება, რაც გულისხმობს შეამოწმოს როგორც მთლიანად პროდუქტი, ასევე, მისი ცალკეული კომპონენტი ან მახასიათებელი. ორივე სახის შემოწმებისას გამოვლენილი შეუსაბამობის შემთხვევაში, მიმწოდებელსა ან დილერს ეძლევა მითითება პრობლემის აღმოფხვრის თაობაზე. თუ ვერ მოხერხდება შეუსაბამობის აღმოფხვრა, მაშინ უფლებამოსილმა ორგანო ვალდებულია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე არ დაშვების ან პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების შესახებ.

კანონპროექტის მე-9 მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას კანონპროექტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის.

მე-10 მუხლში მოცემულია იმ ტექნიკური რეგლამენტების ჩამონათვალი, რომელთა მიღებაც გათვალისწინებულია კანონპროექტით. აღნიშნულ ტექნიკურ რეგლამენტებს შეუმუშავებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და წარუდგენს საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

კანონპროექტის მე-11 მუხლი წარმოადგენს გარდამავალ დებულებებს და განსაზღვრავს კანონპროექტის ამოქმედების ვადებს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი კავშირშია საქართველოს მთვარობის 2018-2020 წლების პროგრამასთან „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, კერძოდ ძირეული და ინოვაციური რეფორმების დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის (2.11) ენერგეტიკისა (2.11.1) და მწვანე ეკონომიკის (2.11.3) პუნქტებთან.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი ეფუძნება „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ XXV დანართის ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებულ ჩანაწერს; ასევე „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმსა და აღნიშნულ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების თაობაზე გამართული მოლაპარაკებების შედეგს.
კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭების საკითხს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტი დაჩქარებული წესით არ განიხილება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტით გათვალისწინებული აუცილებელი ხარჯები დაფინანსდება შესაბამისი სახელმწიფო უწყების ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან 2020 წლის 31 დეკემბრიდან ძალაში შედის პასუხისმგებლობის შესაბამისი ფორმები ჯარიმების/საურავის სახით, კანონპროექტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება დარღვევის სახესა და მის რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

აღნიშნული კანონპროექტის სრულყოფილად ამოქმედების მიზნით აუცილებელია კანონპროექტის მე-10 მუხლით განსაზღვრული საყოფაცხოვრებო მოწყობილობებისათვის 12 ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება, რომელთაგან 8 ტექნიკური რეგლამენტის პროექტზე დასრულებულია მუშაობა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით. დარჩენილი 4 ტექნიკური რეგლამენტის შესამუშავებლად შესაძლებელია ხარჯების გამოყოფა განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფო უწყების ბიუჯეტიდან.

კანონპროექტის მე-8 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, სსიპ ენერგოეფექტურობის სააგენტო, ტექნიკური შემოწმების მიზნით, უფლებამოსილია განახორციელოს საყოფაცხოვრებო მოწყობილობ(ებ)ის შესყიდვა. აღნიშნულ შემთხვევაში ხარჯების გამოყოფა მოხდება შესაბამისი სახელმწიფო უწყების ბიუჯეტიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებებისწარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მე-5 მუხლის თანახმად, მიმწოდებლები, რომლებიც ბაზარზე განათავსებენ ან ექსპლუატაციაში გაუშვებენ პროდუქტს, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პროდუქტთან ერთად ეტიკეტისა და ფიშეს მიწოდებაც, რითაც შესაძლოა მიმწოდებლებს დამატებითი ფინანსური ვალდებულებები წარმოეშვათ.

კანონპროექტის მე-8 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, თუ ნიმუშების ტექნიკური შემოწმებისას დადგინდა, რომ ზედამხედველობას დაქვემდებარებული პროდუქტი არ შეესაბამება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მიმწოდებელი/დილერი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯები. ასეთ შემთხვევებში მიმწოდებელს/დილერს წარმოეშობა დამატებითი ფინანსური ვალდებულებები.

ასევე ამ კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისთვის 2020 წლის 31 დეკემბრიდან მიმწოდებლებს/დილერებს დაეკისრებათ ჯარიმები/საურავი, რაც ასევე გამოიწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

2020 წლის 31 დეკემბრიდან ძალაში შედის პასუხისმგებლობის შესაბამისი ფორმები ჯარიმის/საურავის სახით, კანონპროექტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროპარლამენტისა და საბჭოს „ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის მითითების თაობაზე“ N2010/30/EU დირექტივასთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

„ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის მითითების თაობაზე“ N2010/30/EU N2010/30/EU ევროდირექტივა;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ჩართული იყვნენ როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ექსპერტები, მათ შორის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს, დანიური საკონსულტაციო კომპანია „NIRAS’-ის წარმომადგენლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის

მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.